პროფესორ სერგი დანელიას სახლ-მუზეუმი

იგორ კეკელია

ვნებული სული
კონსტანტინე კაპანელისა

ქუთაისი
2019

XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, მწერალს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს - **კონსტანტინე კაპანელს** (1889-1952 წწ.). წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი პირადი წერილებით მკითხველს ეძლევა საშუალება, რომ ერთხელ კიდევ განიცადოს ის, თუ რა ცეცხლი და ქარიშხალი გამოიარა დიდი შემოქმედის ტანჯულმა სულმა, და რომ გასული საუკუნის I ნახევარში ქართველ შემოქმედთა პოლიტიკური დევნა დღესაც ერთნაირად თანამედროვე და აქტუალურია. გამოცემა ეძღვნება კ. კაპანელის დაბადებიდან 130-ე წლისთავს.

რედაქტორი პროფ. **დემურ ჯალაღონია**
რეცენზენტები: პროფ. **ნაპო კვარაცხელია**
პროფ. **მექი ლობჟანიძე**
პროფ. **ბადრი ფორჩხიძე**

შესავალი

XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, მწერალს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს _ **კონსტანტინე კაპანელს** (1889-1952 წწ.). მისი ნამდვილი გვარია ჭანტურაია. უსიხარულო ცხოვრება, საბჭოთა ხელისუფლების ინტრიგები, ბარიერები სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისას და საბჭოთა იდეოლოგიის მონა--მსახურთაგან წამოსული დაუმსახურებელი კრიტიკის ნიაღვარი იყო ამ პატრიოტი, ჭეშმარიტი ინტელიგენტისა და ქართული კულტურის დაუღალავი მსახურის შემოქმედებითი მოღვაწეობის მარადიული თანამდევი.

თუ როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში უწევდა ამ მეცნიერს ცხოვრება, როგორი იყო საზოგადოდ იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ყოფა, ეს ყოველივე ნათლად ჩანს კ. კაპანელის თანამედროვეთა მოგონებებში, აგრეთვე მისივე პირად წერილებში, რაც მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში, პროფ. სერგი დანელიას სახლ-მუზეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდშია დაცული.

ცხოვრებაზე გულგატეხილი კაცის მიერ არის ეს წერილები დაწერილი. ეს სასოწარკვეთილი ადამიანის სულის კივილია, რომელსაც გაბატონებული იდეოლოგიის მიმდევრები შინაგან სიმტკიცესა და საკუთარი მრწამსის ერთგულებას არ პატიობდნენ _ სასტიკად სჯიდნენ, დევნიდნენ, უკრძალავდნენ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების კითხვას და წიგნების გამოცემას.

სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერის სახელი გარდაცვალების შემდეგაც დიდხანს იყო ,,დუმილის ზონის“ ბინადარი (პროფ. ედუარდ კოდუას სიტყვებია), მაგრამ კოსმიური სევდისა და ფიქრების აღმძვრელმა მისივე აზროვნების ძალმოსილებამ მაინც გაუძლო დროის ულმობელობას და თავის დროზე სხვადასხვა ეპითეტით (,,დასჯილი ინტელიგენციის იდეოლოგი“, , ,,კოსმოპოლიტი“, ,,ეკლექტიკოსი“, ,,დახავსებული თეორიის ავტორი“, ,,ანტიმარქსისტული მოძღვრების თეორეტიკოსი“, ,,იდეალისტური მოძღვრების ეპიგონი“...) ,,შემკული“ დიდი მოღვაწის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სადღეისოდ უფრო მეტად ფასეული და მნიშვნელოვანია.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი პირადი წერილებით მკითხველს ეძლევა საშუალება, რომ ერთხელ კიდევ განიცადოს ის, თუ რა ცეცხლი და ქარიშხალი გამოიარა კონსტანტინე კაპანელის ტანჯულმა სულმა, და რომ გასული საუკუნის I ნახევარში ქართველ შემოქმედთა პოლიტიკური დევნა დღესაც ერთნაირად თანამედროვე და აქტუალურია.

წინამდებარე ნაშრომში[1] წარმოდგენილი რამდენიმე პირადი წერილით მკითხველს ეძლევა საშუალება, რომ ერთხელ კიდევ განიცადოს ის, თუ რა ცეცხლი და ქარიშხალი გამოიარა კონსტანტინე კაპანელის ტანჯულმა სულ-

[1] ნაშრომის განსხვავებული ვარიანტი დაიბეჭდა ჟურნალ ,,ქართველოლოგიაში“ (#4, ოქტომბერი-დეკემბერი, თბ., 2019), რაც მიეძღვნა კ. კაპანელის დაბადებიდან 130-ე წლისთავს. იხ. ი. კეკელია, საბჭოთა იდეოლოგია და ბედი კონსტანტინე კაპანელისა, გვ. 125-134.

მა, და რომ გასული საუკუნის I ნახევარში ქართველ შემოქმედთა პოლიტიკური დევნა დღესაც ერთნაირად თანამედროვე და აქტუალურია.

დიახ, ეს არის პირადი წერილები... უფრო ზუსტად კი განცხადებები, რომლებსაც ვერავინ დაწერდა მის მაგივრად, მის დასაცავად (!), არის თხოვნები იმ ოფიციალური პირებისადმი, რომლებიც სინამდვილეში უძლურნი იყვნენ, მიეღოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი, ან არც ამის სურვილი ჰქონდათ, ჭეშმარიტი ღირებულებებისადმი გაუკუღმართებული საბჭოური დამოკიდებულების გამო.

კონსტანტინე კაპანელის
ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

ა. მგელაძეს[2]

,,სრული 40 წლის სტაჟი მაქვს, როგორც მწერალს, ხოლო 27 წ. უმაღლეს სკოლაში ვმუშაობ, აქედან _ 19 წ. თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტში მიმუშავნია განუწყვეტლივ; მრავალი წლის განმავლობაში ვიყავი უცხოეთის, მაშინ _ მსოფლიო ლიტერატურის კათედრის გამგე; სამასამდე სხვადასხვა სამეცნიერო-სალიტერატურო ხასიათის ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული, როგორც ცალკე წიგნებად, ისე ჟურნალ-გაზეთებში; დიდი სამამულო ომის დღეებში გამოვეცი ნაშრომი სათაურით: ,,ფაშიზმი კულტურის მტერია", სადაც მოთავსებულია წერილები უფრო ადრე გაზ. ,,კომუნისტში" გამოქვეყნებული. ერთი და იგივე წიგნისათვის, რომელიც გამოვეცი 1924 წ., ორჯერ დამამუშავეს: ერთხელ გამომიყვანეს ნაციონალისტი, მეორედ ამავე წიგნის მიხედვით კოსმოპოლიტი გამოვედი და უნივერსიტეტიდან მომხსნეს; სკოლაში _ ჩემს პატარა ქალიშვილს _ მაშინ VII კლასის მოწაფეს _ ჩემი წიგნების შესახებ მოხსენება გააკეთებიეს და ათქმევინეს საჯაროდ, ,,ორთოდოქსი მარქსისტი ფილიპე მახარაძე გვასწავლის _ ილია ჭავჭავაძე ფეოდალური მწერალია", ხოლო სიმონ ხუნდაძე და კ. კაპანელი ამბობენ _ ,,ილია

---

[2] **აკაკი მგელაძე** (1910-1980 წწ.) - საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ პარტიული მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი 1952-1953 წწ.

ჭავჭავაძე რევოლუციის იდეებს ქადაგებსო“.

როდესაც საქართველოს კ. პ. (ბ.) პარტიის და მთავრობის ორგანიზაციების სათავეში ლ. პ. ბერია ჩადგა, ჩემი ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომები დაფასდა და მათ საფუძველზე მოეწყო ჩემი გამოყენების საქმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მე ჩამაბარეს ჯერ უცხო ენების კათედრების ხელმძღვანელობა, ხოლო ძალიან მალე _ უცხოეთის (მსოფლიო) ლიტერატურის კათედრის გამგედ დამნიშნეს, მაგრამ, როგორც კი ლ. პ. ბერია სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანა პარტიამ, მე დამიწყეს დევნა და შევიწროება და როდესაც უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს ნიკო კეცხოველი, ჩემ(მ)ა მტრებმა გამოიყენეს რა ჩემს წინააღმდეგ კოსმოპოლიზმისა და ანტიპატრიოტიზმის კამპანია, რომელიც, როგორც თქვენ მოგეხსენებთ, რუსეთში დაიწყო თეატრალური კრიტიკის ვითარებასთან დაკავშირებით, მე უნივერსიტეტიდან მომხსნეს და 15 თვე სრულებით უმუშევარი დავრჩი; წერისა და გამოქვეყნების საქმიანობიდან (შტეპსელივით) გამომთიშეს და დღემდე არ მაძლევენ საშუალებას, არც ჟურნალ-გაზეთებში თავის გამოყოფის, არც საჯარო ლექციების კითხვის, არც გაზეთებში ახსნა-განმარტების გამოქვეყნების ნება არ მომცეს: თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ გული და ნერვები ადამიანს, გონებას არ ემორჩილებიან და ბუნებრივად დიდი წყენის ნიადაგზე სისხლი ჩამექცა, შემდეგ კუჭის ნერვიულ სპაზმებიდან წყლული გამიჩნდა და პროფ. ერისთავ[თან] ოპერაცია

დამჭირდა“[3].

(სტილი დაცულია. უთარიღოა და ხელმოუწერელი)

[3]მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** პოლიტიკური იდეოლოგია და ქართველი ფილოსოფოსების ბედი (სერგი დანელია და კონსტანტინე კაპანელი). მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. სამუშაო პროგრამა და მასალები. ქუთ., 2014, გვ. 40-41.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს -
პროფესორ ვიქტორ კუპრაძეს[4]

38 წ. ვმუშაობ განუწყვეტლივ ლიტერატურასა და განათლების დარგში; ამათ შორის 19 წ. უნივერსიტეტში, სადაც მე შევედი 1931 წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ხოლო 1932-დან დამტკიცებული ვარ დოცენტის თანამდებობაზე. უმაღლესი სკოლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საკავშირო საკვალიფიკაციო კომისიის მიერ განთავისუფლებული ვარ საკანდიდატო დისერტაციის დაცვისაგან 1940 წ. 28/VI.

მიმდინარე წლის მაისისა და აპრილის თვეებში მოხსნილი ვარ ყველა სამსახურიდან. პატივისცემით გთხოვთ, გამომირკვიოთ საბოლოოდ სადაც ჯერ არს, მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან ვიქნები აღდგენილი შრომის უფლებებში, თუ არა _ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში, თუ ვრჩები უმუშევარი, როგორც ეხლა ვარ _ მოწყვეტილი ჩემს პროფესიას და დეკვალიფიკაციის გზაზე დამდგარი: თქვენ მოგეხსენებათ, რომ 38 წლის მანძილზე მე სხვა პროფესია არ მქონებია, გარდა ლიტერატურისა და ფილოსოფიის. პენსია არავითარი არ მეძლევა.

კონსტანტინე კაპანელი
ქ. თბილისი.
ივლისის 25 1949 წ.

---

[4] 1944-1953 წწ. **ვიქტორ კუპრაძე** იყო საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, ხოლო 1954-1958 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ძმაო შოთა![5]

ბიუროს ყოველგვარი დავალება შევასრულე: შევასწორე, გავამარტივე, შევკრიჭე: მე მაინც მინდა ვთხოვო სექციას, მომავლისთვის მაინც ჩემი წერის და თქმის თავისებურება დამიტოვოთ, თუ ეს პოლიტიკურ ცოდვად არ ჩამეთვლება.

,,ოჩნო“ იქნება, თუ ,,ზაოჩნო“, სასაკლაოზე არ გამიყვანოთ: იმედი მაქვს ჩემ შემდეგ ჩამოსვლასათვის მაინც ჩემი საქმე გაფორმებული იქნება, მით უფრო, რომ აკადემიურად მე უმაღლესი პარტიული ორგანიზაციების მიერ რეაბილიტირებული ვარ. ***საზოგადოების ხაზით და სახელით, ჩემი გამოსვლა იქნება ჩემი მდგომარეობის მორალური რესტავრაცია,*** *რასაც პრეზიდიუმიც და სექციაც, იმედი მაქვს, კეთილი სურვილებით შეხვდება.*

მეგობრული პატივისცემით _
კონსტანტინე კაპანელი

თბილისი
1952 17/III.

[5] ადრესატი დაუდგენელია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივანს - ამხანაგ აკაკი მგელაძეს

განცხადება

19 წელი ვმუშაობდი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში _ ვიყავი უცხოეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე და ვკითხულობდი უცხოეთის ლიტერატურის ისტორიას, ლიტმცოდნეობას და ლიტ. თეორიას. 41 წელია (1911 წლიდან) ვმუშაობ მწერალთა რიგებში: 9 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი მაქვს გამოცემული, 300-მდე ლიტერატურულ-მეცნიერული ხასიათის ნაშრომი მაქვს მოთავსებული ჟურნალ-გაზეთებში ქართულად, რუსულად და ფრანგულად. უმაღლესი განათლება საფრანგეთში მივიღე, საქართველოში დავბრუნდი 1914 წ.

ბოლო ხანებში გამაკრიტიკეს ჩემი ნაწერებისათვის: რა თქმა უნდა 41 წლის გრძეობის მუშაობაში შეცდომები მაქვს, მაგრამ, ჩემთვის გაუგებარი ის არის, რომ ერთი და იგივე წიგნისათვის ადრე გამომიყვანეს როგორც ნაციონალისტი, ხოლო შემდეგ კოსმოპოლიტი. თან უნივერსიტეტიდან მომხსნეს _ 15 თვე უმუშევარი დამტოვეს, ხოლო მწერლობაში _ ჟურნალ-გაზეთებში დღემდე ბეჭდვის საშუალებას აღარ მაძლევენ...

გთხოვთ აღმადგინოთ უნივერსიტეტში სამუშაოზე (მაქვს დოცენტის წოდება, მონიჭებული განათლების უმაღლეს სამინისტროს მიერ) და ბეჭდვის გზით _ რო-

გორც ჟურნალ-გაზეთებში, ისე ცალკე ნაშრომის გამოცემით.

პატივისცემით კონსტანტინე
გრიგოლის ძე კაპანელი
ქ. თბილისი
1952 10/VI.

ა. მგელაძეს

სრული 40 წლის სტაჟი მაქვს, როგორც მწერალს, ხოლო 27 წ. უმაღლეს სკოლაში ვმუშაობ, აქედან _ 19 წ. თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტში მიმუშავნია განუწყვეტლივ; მრავალი წლის განმავლობაში ვიყავი უცხოეთის, მაშინ _ მსოფლიო ლიტერატურის კათედრის გამგე; სამასამდე სხვადასხვა სამეცნიერო-სალიტერატურო ხასიათის ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული, როგორც ცალკე წიგნებად, ისე ჟურნალ-გაზეთებში; დიდი სამამულო ომის დღეებში _ გამოვეცი ნაშრომი სათაურით: ,,ფაშიზმი კულტურის მტერია", სადაც მოთავსებულია წერილები უფრო ადრე გაზ. ,,კომუნისტში" გამოქვეყნებული. ერთი და იგივე წიგნისათვის, რომელიც გამოვეცი 1924 წ., ორჯერ დამამუშავეს: ერთხელ გამომიყვანეს ნაციონალისტი, მეორედ ამავე წიგნის მიხედვით კოსმოპოლიტი გამოვედი და უნივერსიტეტიდან მომხსნეს; სკოლაში - ჩემს პატარა ქალიშვილს - მაშინ 7 კლასის მოწაფეს - ჩემი წიგნების შესახებ მოხსენება გააკეთებიეს და ათქმევინეს საჯაროდ, ,,ორთოდოქსი მარქსისტი ფილიპე მახარაძე გვასწავლის - ილია ჭავჭავაძე ფეოდალური მწერალია", ხოლო სიმონ ხუნდაძე და კ. კაპანელი ამბობენ - ,,ილია ჭავჭავაძე რევოლუციის იდეებს ქადაგებსო.

როდესაც საქართველოს კ. პ. (ბ.) პარტიის და მთავრობის ორგანიზაციების სათავეში ლ. პ. ბერია ჩადგა, ჩემი ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომები დაფასდა და მათ საფუძველზე მოეწყო ჩემი გამოყენების საქმე თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მე ჩამაბარეს ჯერ უცხო ენების კათედრების ხელმძღვანელობა, ხოლო ძალიან მალე - უცხოეთის (მსოფლიო) ლიტერატურის კათედრის გამგედ დამნიშნეს, მაგრამ, როგორც კი ლ. პ. ბერია სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანა პარტიამ, მე დამიწყეს დევნა და შევიწროება და როდესაც უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს ნიკო კეცხოველი, ჩემ(მ)ა მტრებმა გამოიყენეს რა ჩემს წინააღმდეგ კოსმოპოლიზმისა და ანტიპატრიოტიზმის კამპანია, რომელიც, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, რუსეთში დაიწყო თეატრალური კრიტიკის ვითარებასთან დაკავშირებით, მე უნივერსიტეტიდან მომხსნეს და 15 თვე სრულებით უმუშევარი დავრჩი; წერისა და გამოქვეყნების საქმიანობიდან (შტეპსელივით) გამომთიშეს და დღემდე არ მაძლევენ საშუალებას, არც ჟურნალ-გაზეთებში თავის გამოყოფის, არც საჯარო ლექციების კითხვის, არც გაზეთებში ახსნა-განმარტების გამოქვეყნების ნება არ მომცეს: თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ გული და ნერვები ადამიანს, გონებას არ ემორჩილებიან და ბუნებრივად დიდი წყენის ნიადაგზე სისხლი ჩამექცა, შემდეგ კუჭის ნერვიულ სპაზმებიდან წყლული გამიჩნდა და პროფ. ერისთავ[თან] ოპერაცია დამჭირდა.

15 თვის უმუშევრობის შემდეგ აღმადგინეს, მაგრამ უნივერსიტეტში აღარ დამაბრუნეს, არამედ ბათუმში - პედინსტიტუტში გამაგზავნეს.

ამხ. აკაკი, შიგა და შიგ მრავალი საწყენი და უსიამოვნო ჭორებსა და მითქმა-მოთქმაში გამხვიეს, რაც, როგორც

თქვენ მოგეხსენებათ, ც. კ. ძველი ხელმძღვანელობის კურთხევით და ნებართვით მიმოდიოდა მეშჩანურად და რეაქციონრად განწყობილ საზოგადოებაში, მაგრამ არ მინდა თქვენ(ი) ყურადღება ამისთანა რამეზე შევაჩერო, რაც თქვენ დროს წაგართმევს და რის გამოსწორებისათვის თქვენ თვითონ იბრძვით, რომ ღირსეულად შეასრულოთ და გააგრძელოთ დიდი სტალინის დავალება და მისი მოწაფის და თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას წამოწყებანი საქართველოში.

ჩემი კონკრეტული თხოვნა: ა)აღმადგინოთ უნივერსიტეტში, თუ შეიძლება, ან სასკოლო განათლების მინისტრმა გადმომიყვანოს თბილისის რომელიმე ინსტიტუტში და ჩემ მაგიერ ბათუმში გააგზავნონ ვინმე სხვა, რომელსაც დიდი დაავადებანი არ გავლია და ჩემზე ადვილად იმოგზაურებს. მისცეთ მითითება ჟურნალ-გაზეთების ხელმძღვანელებს, შეწყვიტონ ძველი ჩარკვიანური მეთოდი ჩემი გამოთიშვის ლიტერატურულ საქმიანობიდან და საშუალება მომცენ ჩემი აზრების გამოქვეყნების, სათანადო რედაქციითა და შესწორებებით. დაავალოთ რომელიმე გამომცემლობას, უახლოეს გეგმაში შეიტანონ ერთერთი ჩემი ლიტერატურული ხასიათის ნაშრომი, 30-30 ფორმის, რა თქმა უნდა, თქვენი მითითებით ორგანიზებული რედაქციითა და შესწორებებით.

სხვები ჩაწყობილნი არიან საკვლეო ინსტიტუტებსა, ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებში, მე კი ც. კ. ძველმა ხელმძღვანელობამ ჩემი პროფესიულ საქმიანობიდან გამომთიშა და დეკვალიფიკაციის გზაზე დამაყენა:

დიდი სტალინის ქვეყანაში ყველას ეძლევა უფლება შრომისა და დასვენების, გთხოვთ მეც დამიბრუნოთ ეს უფლება, რომელსაც მე სისტემატურად მართმევდენ პარტიისა და ხალხის მტრები, კ. მ. მავნებლები, და რომელთა ნაშიერები აქა-იქ ქვედა აპარატებში თბილად არიან ჩაწყობილი და როგორც თქვენ მშვენიერად მოგეხსენებათ, პატიოსან და გულწრფელ მუშაკებს ხელს უშლიან მუშაობასა და წინწაწევაში. თავიანთ მდგომარეობრივ ფუნქციებს შარმასავით იყენებენ.

ამხანაგო ბიძინა![6]

მე თქვენ გაცნობეთ ჩემი ავადმყოფობა: ამასწინად, როდესაც მწერალთა კავშირის საგზურით ქობულეთში დასასვენებლად ვიყავი, მოულოდნელად ერთ ღამეს ისეთი მძიმე შეტევები დამეწყო გულის, რომ ჩემი წინა დავალებათა დროს არც ერთხელ არ მიგრძვნია; ასეთი შეტევები ბოლო ხანებში ისე გამიხშირდა და ისე მძიმე ფორმებში, რომ ქობულეთიდან თბილისისაკენ მოვდიოდი, ექთანი გამომატანეს წამლებით, ნემსებით _ ყოველგვარი შემთხვევისათვის. თბილისში ჩამოსვლის შემდეგშიაც ხშირია ასეთი შემთხვევები, რაც იწვევს მთელი ტანის დასუსტებას ხანგრძლივად: როგორც ეტყობა წაწყმედილი ჩარკვიანის და მისი ლეკვების კბენის ნაშედეგარია.

მე ჯერჯერობით _ ბინიდან ქუჩაში ვერ გავსულვარ: ცხადია, ბათუმში ჩემი მოგზაურობა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია; ექიმები არამც თუ ლექციების, უბრალო საუბრის უფლებას არ მაძლევენ: ნადიმ ნიჟარაძე და თქვენ პირადად _ ბიძინა, ცხადია, დარწმუნებული ხართ ჩემს პატივისცემაში, მაგრამ, რად გინდათ, რომ მსხვერპლი ვიყო თქვენი ინსტიტუტის? გთხოვთ გამანთავისუფლოთ ყოველგვარ მოვალეობისაგან ბათუმის პედინსტიტუტში: ვინ იცის -შეიძლება სხვებმა უკეთესად გემსახურონ. ჩემი

---

[6] იგულისხმება ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში, 1950-1957 წლებში, ქართული ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი **ბიძინა ქიქოძე.**

კეთილი სურვილები ბათპედინსტიტუტის ხელმძღვანელობას და მისი კოლექტივის პატიოსან ნაწილს _ მხოლოდ პატიოსან ნაწილს!

პატივისცემით _

კონსტანტინე კაპანელი

1952

21/IX.

საქართველოს კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს

იძულებული ვარ, ამხანაგო კანდიდ, კიდევ ერთხელ შეგაწუხოთ ჩემი წარსულის განმარტებით: წიგნი _ ,,სოციალური ესთეტიკის საფუძვლები", რომელშიც მე დაუშვი შეცდომები, გამოიცა, როგორც მოგეხსენებათ, 1925 წ. ხოლო ერთი წლით ადრე _ 1924 წ. გახსოვთ, მენშევიკებმა გამოსვლა მოინდომეს. ბოლშევიკური ორგანიზაციის თაოსნობით მაშინ გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი ოპერის თეატრში. მიტინგს ხელმძღვანელობდენ სერგო ორჯონიკიძე და ლავრენტი ბერია; იმ საღამოს ორგანიზაციების დავალებით ჩემი საკუთარი ხელით მე დავწერე რუსულად ქართველი რევოლუციური ინტელიგენციის დეკლარაცია, რომელიც იქვე მიტინგზე იქნა უცვლელად წაკითხული; როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ეს დეკლარაცია შემდეგ მრავალ გამოცემაში დაიბეჭდა; იმავე საღამოს მე სიტყვით გამოვედი ხელმძღვანელი ამხანაგების დავალებით, რაც მანამდელ პრესაში იყო აღნიშნული. როდესაც 1925 წელს მე საშუალება მომეცა წიგნის გამოცემის ის რაც ხდებოდა ერთი წლით ადრე, რა თქმა უნდა იმოქმედა ჩემს მწარე გამოთქმებზე, რაც თქვენ სამართლიანად დამიწუნეთ ეხლანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. სამამულო ომის დროს, ამხანაგო კანდიდ, მე გამოვეცი წიგნაკი სათაურით _ ,,ფაშიზმი კულტურის მტერია", რომელიც შედგენილია ომის პერიოდში გაზეთ ,,კომუნისტში" მოთავსებულ წერილებისაგან; გამოსვლისთანავე ეს წიგნაკი

პროფ. ტალახაძის რედაქციით თქვენ გამოგიგზავნეთ. შეიძლება თქვენ მაშინ თბილისში არ იყავით და წიგნაკს თქვენამდე არ მოუღწევია; ამ წიგნაკით კიდევ მოგაგონებთ, რომ განსაცდელის წუთებში მე საქმით და სულიერად პარტიასთან, თქვენთან ვიყავი.

ამხანაგო კანდიდ, მე რომ უფლება მქონდეს _ გთხოვოთ ჩემი ტომების გადათვალიერება, დარწმუნებული ვარ, თქვენ სულ სხვა აზრის იქნებოდით ჩემი შრომების შესახებ, რადგან ვიცნობ საერთოდ თქვენი იდეების და აზროვნებისადმი მოსიყვარულე გულს. მე ვიცი რომ, როგორც მოაზროვნეს და მწერალს, გიყვართ ავტორული გატაცება. როდესაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სათავეში ჩადგა სოციალისტური კულტურის დიდი რაინდი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ლავრენტი პავლეს ძე ბერია, რომელიც, როგორც თქვენ მშვენიერად მოგეხსენებათ, არწივის თვალებით იხედება ჩვენს სინამდვილის დეტალებში, 1931 წ. მე მიმიწვიეს უნივერსიტეტში, რითაც მე იმ თავითვე ვამაყობდი, რადგან მე იქ შევედი ასეთი დიდი ორგანიზაციის ბრძანებით, როგორიცაა კომუნისტური პარტია, რომელიც ღირსეულს აფასებს ყოველთვის და რომელმაც მე მაშინათვე ჩამაბარა კათედრა პროფესორის განაკვეთით. სწორედ ამიტომ ჩემი უნივერსიტეტიდან გამოყვანა, იმათ სასიხარულოდ, რომელთაც ძალიან სწყენოდათ, რომ მე იქ პარტიამ მიმიყვანა, და რომლებიც დღემდე ათასი ჭორებით, შეთხზული ამბებით ცდილობენ ჩემი სახელის გატეხას და მოშორებას.

ამხანაგო კანდიდ, ბოლშევიკობა ადამიანობის უმაღ-

ლესი ხარისხია, თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ და იმედი მაქვს, რომ თქვენ ბოლშევიკურ ადამიანობას არ მომაკლებთ, რომ საშუალება მომცეთ შეცდომები გამოვასწორო, რაც კარგია ჩემს შრომებში, უფრო გავაღრმავო, რაც ცუდია, ამოვაგდო და ასე თქვენი დახმარებით და კეთილი გულით ისე გულწრფელად, როგორც აქამდე ვიყავი, მხოლოდ უფრო ენერგიულად; პარტიასთან უფრო ახლო ვიყო მომავალ ჩემს ყოველდღიურ საქმიანობასა და... [ხელნაწერი აქ წყდება].

***

1952 წლის 10 დეკემბერს კონსტანტინე კაპანელი გარდაიცვალა.

ბოლოთქმის ნაცვლად

1924 წელს გამოცემული კ. კაპანელის წიგნი ჯერ ნაციონალისტური შინაარსის ნაშრომად მიიჩნიეს, 25 წლის შემდეგ კი იგივე წიგნისთვის კოსმოპოლიტად გამოაცხადეს. გაზეთ ,,კომუნისტში“ 1949 წლის 11 მაისს გამოქვეყნებული წერილის (,,ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“) უცნობი ავტორი ,,ამხელდა“ შალვა ნუცუბიძეს, სერგი დანელიას, კორნელი კეკელიძეს, ილია აბულაძეს, დავით კობიძეს, კონსტანტინე კაპანელსა და სხვებს.

ხელისუფლების უსამართლო საქციელით შეურაცხყოფილი თვალსაჩინო მეცნიერი დიდხანს უმუშევარი დარჩა. ესეც არ აკმარეს: სიცოცხლეში ჯვარცმულ კ. კაპანელს არც გარდაცვალების შემდეგ დაკლებია ბარბაროსული ლანძღვა-გინება და რეპრესიები.

1952 წლის 21 დეკემბერს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ ,,ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული ხელმოუწერელი ნეკროლოგის უარყოფას ისახავდა მიზნად გაზეთ ,,კომუნისტის“ რედაქცია, როცა წერდა: ,,ვის სჭირდება ასეთი ნეკროლოგი? გასაგებია, რომ იგი არ სჭირდება ჩვენს საზოგადოებას. უფრო მეტიც, ისეთ ნეკროლოგს, სადაც დამახინჯებულია სინამდვილე, მიჩქმალულია საკითხის ნამდვილი შინაარსი, მხოლოდ ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაში გაზეთ ,,ლიტერატურა და ხელოვნების“ ფურცლებზე 21 დეკემბერს გამოქვეყნებული ნეკროლოგი წარმოადგენს იდე-

ალისტური და მავნე წიგნების პროპაგანდას“[7].

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია!..

***

კონსტანტინე კაპანელის სახელი შემდეგაც დიდხანს იყო ,,დუმილის ზონის“ ბინადარი (ე. კოდუას სიტყვებია)... კოსმიური სევდისა და ფიქრების აღმძვრელმა მისი აზროვნების ძალმოსილებამ მაინც გაუძლო დროის ქარაშოტს და ქართველი ესთეტისა და ორატორის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სადღეისოდ უფრო მეტად ფასეული და მნიშვნელოვანია. ,,ქართული ფილოსოფია, სოციოლოგია და ესსეისტიკა ვალშია კონსტანტინე კაპანელის წინაშე. ამიტომაც ჟამითი-ჟამად ჯერ არს გამოვიხმოთ მიღმა ქვეყნიდან თავის სამშობლოს ჰაერეთში, ქართულ კულტურას შეწირული, ეს დაცრეცილი, დაძენძილი და ვნებული სული“ (ედიშერ გიორგაძე).

---

[7] გაზ. **,,კომუნისტი“,** 26 დეკემბერი, 1952; მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** მასალები კონსტანტინე კაპანელის არქივიდან. მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონსტანტინე კაპანელის (ჭანტურაიას) დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VI გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია. მასალები. ქუთ., 2014, გვ. 45-47; **მისივე,** საბჭოთა იდეოლოგია და ბედი კონსტანტინე კაპანელისა. ჟურნ. ,,ქართველოლოგია“, #4, 2019, გვ. 133.

Igor Kekelia

Destiny of Konstantine Kapaneli

Konstantine Kapaneli (1889-1952), a well-known Georgian scientist, writer, pedagogue and public figure occupies prominent place in the history of Georgian social studies. His unhappy life, intrigues of the soviet government, hampering the publishing of his scientific works, the offending criticism of this patriot and highly cultured intellectual was atways following criticism of this patriot and highly cultured intellectual was always following his works.

What hell of life was he to go through, what was the life of Georgian intellectuals is clearly seen in the memoires of K. Kapaneli's contemporaries as well as his private letters that are kept in Sergi Danelia House-Muzeum in the village of Bandza of Martvili municipality.

The name of the Georgian scientist had been hushed for a long time after his death, but the strength of his thought has been preserved, and the works of this great scientist who was called 'the ideologist of punished intellectuals;, 'a cosmopolitan', 'an eclectic author', 'the author of a mossy theory', 'an antimarqxist theorist', 'an epigone of idealism' have now acquired more importance.

The private letters published here give the possibility to feel 'fire and storms' that the soul of K. Kapaneli had to endure; besides, reading the letters also shows that the political pursue of Georgian intellectuals in the first half of the last centuru is topical now.

შინაარსი

შესავალი _____ 3
კონსტანტინე კაპანელის ეპისტოლური
მემკვიდრეობიდან _____ 6
ბოლოთქმის ნაცვლად _____ 22

გადაეცა წარმოებას 20. 12. 2019.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 12. 2019.
ნაბეჭდი თაბახი 1,75
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბადონება:
ლევან იობაძე

დაიბეჭდა ი. მ. მარიამ იობაძის მიერ.
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტე.: 599 18 20 98; 592 02 25 55; 579 10 13 23
ელ-ფოსტა: levanistamba@mail.ru; iobadze13@mail.ru